

## THE ISSUE OF IDENTITY IN MELPO AXIOTI'S AUTOFICTIONAL NOVEL „KADMO”

იდენტობის საკითხი მელო აქსიოტის ავტოფიქციურ რომანში „კადმო“

**Tamar Mghebrishvili**

Master of Modern Greek Philology, Tbilisi State University,  
Tbilisi, Ketevan Tsamebuli Ave 67a, 0120, Georgia,  
+995574011804, mghebrishvilitako@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0004-9561-5776>

**Abstract.** Autofiction, as one of the subgenres of postmodernism, occupies an important place in literature due to its introspective form. This genre breaks the boundaries between autobiography and fiction and integrates the writer's personal experiences, memories and reflections within the novel. At the core of autofiction, there is the exploration of identity, as authors explore their own lives and experiences to construct a narrative, in which the real and the fictional merge.

Some intriguing questions arise in relation to autofictional novels, mostly related to self-expression, memory, language, and the role of place. Melpo Axioti's "Kadmo" is one of the examples of autofictional novels that presents multiple aspects of identity. Axioti is known for her introspective and lyrical prose, she reflects in her texts the complexities of personal identity, elements of her own life and experience and manages this using a fictional narrative. In "Kadmo" is presented the issues of identity, memory, language and self-determination .

**Key words:** Melpo axioti; Autofiction and Autobiography; The issues of identity.

**თამარ მღებრიშვილი**

ახალი ბერძნული ფილოლოგიის მაგისტრი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 67ა, 0120, საქართველო,  
+995574011804, mghebrishvilitako@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0004-9561-5776>

**აბსტრაქტი.** ავტოფიქცია, როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ქვეჟანრი, ლიტერატურაში თავისი ინსტროსპექტული ფორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს ჟანრი ავტობიოგრაფიასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის საზღვრებს არღვევს და რომანის ფარგლებში აერთიანებს მწერლის პირად გამოცდილებას, მოგონებებსა და რეფლექსიებს. ავტოფიქციისთვის მთავარ ბირთვს იდენტობის კვლევა წარმოადგენს, რადგან ავტორები საკუთარ ცხოვრებასა და გამოცდილებას იკვლევენ, რის საფუძველზეც ნარატივს აგებენ, რომელშიც რეალური და ფიქციური ერთმანეთს ერწყმის.

ავტოფიქციურ რომანებთან მიმართებაში იკვეთება რამდენადმე დამაინტრიგებელი კითხვები, რომლებიც ძირითადად საკუთარი თავის გამოხატვასთან, მეხსიერებასთან, ენასა და ადგილის როლთან დაკავშირებით ჩნდება. მელპო აქსიოტის „კადმო“ («H Kádμo») ავტოფიქციური რომანის ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც იდენტობის მრავალმხრივ ასპექტს წარმოაჩენს. აქსიოტი ცნობილია თავისი ინტროსპექტული და ლირიკული პროზით, იგი საკუთარ ტექსტებში ასახავს პიროვნული იდენტობის სირთულეებს, საკუთარი ცხოვრებისა და გამოცდილების ელემენტებს და ამას ფიქციური ნარატივის გამოყენებით ახერხებს. „კადმოში“ კი უპირველესად გადმოცემულია იდენტობის, მეხსიერების, ენისა და თვითგამორკვევის საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** მელპო აქსიოტი, ავტოფიქცია და ავტობიოგრაფია, იდენტობის საკითხები.

**შესავალი.** ტერმინი „ავტოფიქცია“ პირველად 1977 წელს სერჟ დუბროვსკის მიერ გამოქვეყნებულ ფრანგულ რომანში გვხვდება. დუბროვსკი ცნობილი მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი და აკადემიკოსია, რომელიც საკუთარი რომანით სახელწოდებით „ვაჟი“ ცდილობს ავტობიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ჟანრული მახასიათებლების რღვევას, რასაც ორი სხვადასხვა ნარატივის - ავტობიოგრაფიულისა და ავტოფიქციურის შემოტანით ახერხებს (Dix, 2018: 2).

ავტოფიქციის ჟანრის მთავარ მახასიათებლად ფიქცია ანუ გამოგონება, შეთხზვა უნდა მივიჩნიოთ. იგი უფრო ხშირად ფრანგ მწერლებთან გვხვდება, რომელთა შორის არიან ამელი ნოტომი, ანი ერნო, მარგარეტ დიუარსი, სერჟ დუბროვსკი და ა.შ. დუბროვსკი ავტოფიქციას განსაზღვრავს როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელშიც ავტორს, მთხრობელსა და პროტაგონისტს ერთი სახელი ჰქვიათ, მაგრამ ეს საზიარო იდენტობა აუცილებლად „სანდო“ არაა (Dix, 2018: 2).

ავტობიოგრაფიის ჟანრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მკვლევრად ფილიპ ლეჟენი ითვლება. ლეჟენი იყო ის, ვინც თამამად დაუპირისპირდა როლან ბარტის „ავტორის სიკვდილს“ და ტექსტში ავტორი, როგორც მოქმედი ფიგურა ისე შემოიყვანა. ფილიპ ლეჟენმა საკუთარი თეორია ავტობიოგრაფიის შესახებ ჩამოაყალიბა და დასკვნის სახით წარმოადგინა, რომ ავტორმა საკუთარი ავტობიოგრაფია გარკვეულ წესებს უნდა დაუქვემდებაროს, რაც ავტორთან დამოკიდებულებაში ერთგვარ ვალდებულებად იქცა, ეს ვალდებულება კი ამბის სარწმუნოდ, ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოცემა იყო, სწორედ ამას უწოდა ლეჟენმა „ავტობიოგრაფიული პაქტი“ (ბარძიმაშვილი, 2017).

მოგვიანებით, ფილიპ ლეჟენმა საკუთარი თეორია და პოზიცია რამდენჯერმე შეცვალა, მას არაერთი კრიტიკოსი დაუპირისპირდა, ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებული ლეჟენის რეცეფციულ-პრაგმატული მიდგომა განსაკუთრებით მას შემდეგ შერბილდა, რაც სერჟ დუბროვსკიმ „ავტოფიქციის“ ცნება შემოიტანა. ავტოფიქცია ავტობიოგრაფიაც არის და გამონაგონიც, თუმცა ამ შემთხვევაში ტექსტში ფიქციის ჩართვით ავტორი სულაც არ სცილდება ჭეშმარიტ სინამდვილეს და რეალურ ფაქტებს ფიქციად აქცევს (ბარძიმაშვილი, 2017).

ლიტერატურაში 1970-იან წლებში დაწყებული ცვლილებების მიღმა არც საბერძნეთი დარჩენილა. მელპო აქსიოტი გარკვეულწილად არღვევს ბერძნულ ლიტერატურაში არსებულ ტრადიციასა და დოგმებს, მას საკუთარ ტექსტებში მეტი თავისუფლება და ინდივიდუალიზმი შემოაქვს, თანაც გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თეორია ავტობიოგრაფიასა თუ ავტოფიქციის შესახებ საფრანგეთში ყალიბდება,

მელპო აქსიოტიც საბერძნეთის დატოვების შემდეგ, სწორედ საფრანგეთში მისდევს აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

აქსიოტის პროზის განსაკუთრებული თვისებაა ტექსტური ფრაგმენტაცია, სადაც მოთხრობილი ისტორიები წყვეტილ და ავტონომიურ ნარატიულ ერთეულებს ან თავებს წარმოადგენს, ხოლო ავტორისეული სუბიექტის წარსული გამოცდილება ხშირად ასოციაციური თხრობის მანერით გადმოიცემა, რაც ავტობიოგრაფიული მასალისა და ფიქციის აღრევას იწვევს.

ტექსტში „კადმო“ («H Κάδμος») ავტორისა და პროტაგონისტის იდენტობა თუ ცხოვრებისეული გამოცდილება საზიაროა, აქსიოტი თამაშობს, როგორც გამოგონილი პიროვნება და პოსტმოდერნულ ნარატიულ ვარიანტს გვთავაზობს, კერძოდ კი, ავტოფიქციურ ნარატივს, სადაც საზღვრები ავტობიოგრაფიასა და რომანს, რეალურსა და წარმოსახვითს შორის ბუნდოვანია.

**მეთოდები.** სტატიაზე მუშაობისას, ძირითადად მივმართეთ მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდს, ასევე ისტორიულ მეთოდს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკვლევი თემა საკმაოდ კომპლექსური ბუნებისაა და აქედან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლიდით ინტერდისციპლინური კვლევის მიდგომებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, ისტორიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ საკითხებს, რაც კვლევის პროცესში მწერლის მიერ დანაწევრებული წარსულისა და იდენტობის გადმოცემაში მნიშვნელოვნად მონაწილეობს.

**შედეგები და მსჯელობა.** მელპო აქსიოტი, მიკონოსელი პროზაიკოსი და პოეტი, უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-20 საუკუნის თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული მისმა მწერლობამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა როგორც ბერძნული პროზის, ასევე პოეზიის ფორმირებაშიც.

მელპო აქსიოტის გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი წლით ადრე, 1972 წელს გამოქვეყნებული ტექსტი, სახელწოდებით „კადმო“ კრიტიკოსებმა აღწერეს როგორც მწერლის „რეკვიემი“ და „გედის სიმღერა“. კადმო გადასახლებული მწერალი ქალის ალტერ ეგო აღმოჩნდა, რომელიც პირველად აქსიოტის რომანში „ჩემი სახლი“ ჩნდება (Ioannidou, 2015: 277).

„კადმო“ აქსიოტის გამოგონილი პროექციაა იმ გაგებით, რომ პერსონაჟის ცხოვრება მწერლის ცხოვრებას ასახავს. აქსიოტის მსგავსად, რეპატრირებულ მოთხრობელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არაერთ გარემოებასთან უწევს შეგუება, მათ შორისაა მეხსიერების დაკარგვა, ენის, იდენტობისა და თვითიდენტიფიკაციის პრობლემაც.

მელპო აქსიოტი „კადმოში“ საკუთარი თხრობის მანერითა და სტილით ახერხებს წარმატებით წარმართოს დიალოგი მკითხველთან. მკითხველი ეტაპობრივად ამჩნევს არატიპური კონსტრუქციის წინადადებებს, გრამატიკულად არანორმატულ ფრაზებს, მეტაფორებს, ერთგვარ სიტყვათქმის მომენტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ბერძნულ ენას. მელპო აქსიოტი ახალ სურათ-ხატებსა და ხატოვან ენობრივ ერთეულებს ქმნის, რაც ადასტურებს მის უნარს, გასცდეს ტრადიციულ ენობრივსა თუ კულტურული ჩაკეტილობის საზღვრებს.

ბერძნულ მწერლობაში მომხდარი ცვლილებები აისახა მელპო აქსიოტის შემოქმედებაზეც, აქსიოტი სხვა მწერლებთან ერთად წარმოადგენს ბერძნული მოდერნიზმის „სუბიექტურ“ და რეპრესირებულ მხარეს, რომელიც ცდილობს შეისწავლოს ინდივიდების შინაგანი სამყარო, რადგან მისი შემოქმედების თვითრეფერენციული ხასიათი ხშირად ამახვილებს ყურადღებას იდენტობასთან, თვითმყოფადობასთან თუ ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით. აქსიოტის ტექსტების

ფრაგმენტული სტილი ძირს უთხრის ერთიანი „მე“-ს ცნებას და წინა პლანზე წამოსწევს სუბიექტის კრიზისს (Tziouvas, 2003: 52).

მელპო აქსიოტი გადმოსცემს იმას, თუ რა სახის ბარიერებს ხვდება ინდივიდი მისთვის „უცხო“ გარემოში ყოფნისას, როგორ ფორმირდება მულტიკულტურულ გარემოში მისი იდენტობა, როგორ უნდა შეძლოს ინდივიდმა უცხო სამყაროსთან ინტეგრაცია ისე, რომ საკუთარი იდენტობის შენარჩუნება მოახერხოს.

აქსიოტისთან ავტობიოგრაფია, როგორც თვითშემეცნება - რეფლექსური და თვითკრიტიკული აქტია, რომელიც მწერალს უფრო მეტად ინდივიდუალურობისა და თვითმყოფადობის გამოხატვაში ეხმარება.

თუკი სხვებთან კომუნიკაციისას მთავარი ფაქტორი ენაა, საკუთარი თავის გაგება მეხსიერებით მიიღწევა. ჰაბერმასი, რომლის ნაშრომთა საფუძველს ჯორჯ ჰერბერტ მიდის კონცეფციები წარმოადგენს, ამტკიცებს, რომ ინდივიდებს საკუთარ თავზე დაკვირვება რეტროსპექტული გზით შეუძლიათ (კირვალიძე, 2014: 91).

როდესაც მეხსიერებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვგულისხმობთ გრძელვადიან მეხსიერებას, ვინაიდან აქსიოტი იხსენებს არა მხოლოდ ბოლოდროინდელ მოვლენებს, არამედ მოვლენებს ღრმა წარსულიდან, მათ შორის ბავშვობის წლებიდან.

მაშინ, როდესაც თვრამეტ წელს უცხოობაში ატარებ, სტაბილური იდენტობის ცნება ქრება, იდენტობა ხდება ფრაგმენტული, განუსაზღვრელი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო და აქედან გამომდინარე მრავალშრიანი. თვითიდენტიფიკაციის ორიენტირი მუდმივად ცვალებადია, იდენტობა უცხო გარემოში ყოფნისას ტრანსფორმირდება, ხშირად გარკვეულ ფაქტორებს ექვემდებარება და პერმანენტულ ხასიათს კარგავს. მელპო აქსიოტის შემთხვევაში თავისი ავტობიოგრაფიის გადმოცემა ავტოფიქციისა და მეტაფიქციის დახმარებით წარმოადგენს ერთგვარ თვითკურნების საშუალებას. ეს არის მწერლის მძაფრი სურვილი, რომ აღადგინოს დაკარგული წარსული და განსაზღვროს ავთენტური და სუბიექტური იდენტობა.

მელპო აქსიოტისთან ინდივიდუალური მეხსიერება კოლექტიურ მეხსიერებაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტექსტი სწორედ მისი პირადი მოგონებების, პირადი განცდებისა და გამოცდილების საფუძველებზე იქმნება. აქსიოტი ცდილობს აღადგინოს წარსულის ხატები და წერის პროცესში როგორმე შეძლოს მათი ვერბალური რეპრეზენტაცია.

*“ყოველთვის მგონია რომ არაფერი მაქვს დასაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა, არ შემიძლია, არ ვიცი”* (Aξιώτη, 2015: 55).

საგულისხმოა ისიც, რომ მწერლის ცხოვრებისეული მოგონებები და მის წიგნებთან დაკავშირებული მოგონებებიც მეხსიერებისა და წერის პროცესს უკავშირდება. ერთმანეთისგან განუყოფელია „გუშინდელი“ და „დღევანდელი“ მოგონებები, რომლითაც მწერალი ჯერ კიდევ აგრძელებს ცხოვრებას, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მოგონებები აქსიოტისთან ურთიერდაკავშირებულია. აქსიოტი მიმართავს თხრობის მეტალინგვისტურ ჩარჩოს და ცდილობს თავისი ცხოვრების ჩაწერას, რათა ჯერ კიდევ ცოცხლად იგრძნოს თავი და ამას თავისი მრავალფეროვანი წარსულის აკინძვითა და მოგონებების დაულაგებლად გადმოცემით ახერხებს. მისთვის წერისა და გახსენების პროცესი ის საშუალებაა, რითაც გონების ფუნქციონირებისას შესაძლებელი ხდება უკვე განვლილი სინამდვილის აღდგენა და თავისი ცხოვრების ლიტერატურული წარმოდგენა, სწორედ ფურცლებზე გადმოცემული ამბებისგან ერთდება მისი იდენტობა.

მოგონებები შემთხვევით ჩნდებიან. ჩნდებიან იმ დროს, როდესაც მწერალი თავისი ახალგაზრდობის წლებში ბრუნდება, იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა, სხვადასხვა უბანში, ქუჩებში და რაც მთავარია სახლებში. აქსიოტი „კადმოში“ აღწერს, რომ მას ახსოვს ყველა სიტყვა, ყველა სურათი, რაც წაუკითხავს, ახსოვს, როდესაც თვალს ხუჭავს და



ცდილობს ეს ყველაფერი ფურცლებზე გადმოიტანოს. თავისი ბავშვობის ადგილები, მისი ახალგაზრდობის წლები ჯერ სამშობლოში და შემდეგ უცხოებაში ყოფნისას. აქსიოტი იწერს შემთხვევით დეტალებს, რომლებიც ხშირად ერთმანეთს საერთოდ არ უკავშირდებიან.

ენა არის მნიშვნელოვანი გზა, რითაც ინდივიდები გამოხატავენ საჭიროებებს, სურვილებს, იმედებს, ოცნებებსა და შიშებს. მშობლიური ენა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის იდენტობასა და შინაგან მდგომარეობასთან. იგი აქტიურად მონაწილეობს სამყაროს შესახებ ჩვენი ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებაში, განსაზღვრავს ინდივიდს სხვა, მეორე ადამიანთან მიმართებაში. თუმცა, ადამიანები მხოლოდ მაშინ და ნამდვილად მაშინ აცნობიერებენ ენის მნიშვნელობას, როდესაც კავშირი სამყაროსა და მათ შიდა ენობრივ წარმოდგენებს შორის წყდება ან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მაგალითად, მაშინ როდესაც ტოვებენ საკუთარ ქვეყანას და ახალ, უცხო ენობრივ გარემოში ხვდებიან.

მიუხედავად გადასახლების სხვადასხვა ფორმისა, ყველა გადასახლებულ თუ ემიგრირებულ ადამიანს ერთი რამ საერთო აქვთ, ყველა დევნილი თან ატარებს საკუთარ ენას (Stroinska, 2003: 96). მეღპო აქსიოტის მიერ მშობლიური ენისა და იდენტობის შენარჩუნება საკვანძო საკითხია „კადმოში“.

ენასა და სიტყვებს განსაკუთრებული სიმბოლური და ამავე დროს პრაქტიკული დატვირთვა აქვს, მშობლიური ენის დაკარგვა დევნილობის წლებში „კადმოს“ ერთ-ერთ თემატურ ბირთვს წარმოადგენს.

რასაკვირველია, მშობლიური ენის დავიწყება და ამ დანაკარგისგან გამოწვეული წუხილი დამატებით მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საქმე ეხება მწერალს და შესაბამისად, ენა და სიტყვები საავტორო-ნარატიული სუბიექტისთვის არ წარმოადგენს მხოლოდ სალაპარაკო, საკომუნიკაციო საშუალებას, ამ შემთხვევაში წუხილი არ არის გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ თანამოსაუბრის არარსებობით, არამედ იგი გამოწვეულია სამწერლობო აქტის შეწყვეტით, ანდაც შეფერხებით. „კადმოს“ პირველ თავში, სახელწოდებით „რადაცები“, აქსიოტი პირველად ახსენებს ფრაზას:

*„და მაშინ დიდი შიში დაგეუფლა: ბრძოლა სიტყვასთან“* (Aξιώτη, 2015: 15).

ენა უშუალოდ უკავშირდებოდა მთხრობელის წერის პროცესსა და მეხსიერების აღდგენის შესაძლებლობას, მოგონებები, რომლებიც გონებაში გარკვეული სურათ-ხატების სახით არსებობდა, მოითხოვდა ვერბალიზაციას. სიტყვის მნიშვნელობა ამ დროს განსაკუთრებულ დატვირთვას იძენდა, ვინაიდან მწერლისთვის ენა არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ საურთიერთო საშუალებას, ენასა და სიტყვებს განსაკუთრებული დატვირთვა მიეცათ იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ასე უნდა შექმნილიყო ტექსტი, რომელიც მოჰყვებოდა ამბავს და სამუდამოდ დარჩებოდა. (Verba volant, scripta manent - (ლათ. „სიტყვები ქრება, დაწერილი რჩება“).

იმ მიზნით, რომ გმირმა გადასახლების პერიოდში, სასოწარკვეთილებითა და აგონიით მოცულმა, არ დაკარგოს თავისი მშობლიური ენის სიტყვები, იგი უკვირდება თითოეული სიტყვის მნიშვნელობას, წინადადებაში თითოეულ სიტყვას არჩევს, მწერლისთვის სიტყვას ხანგრძლივი მეხსიერებაც უნდა გააჩნდეს. აქსიოტი, სიტყვებს საკუთარ მეტაფორულ მნიშვნელობებს ანიჭებს, სიტყვის მეტაფორული შინაარსი თავად სიტყვის ბუნებიდან გამომდინარეობს:

*„კომშს ჰგვანან, ისინიც მასავით რთულნი არიან, რთულად მწიფდებიან“* (Aξιώτη, 2015: 16).

*„ხელახლა აღმოცენდებიან და მოდიან“* (Aξιώτη, 2015: 56).

ხანდახან სიტყვების პერსონიფიკაციის შემთხვევებსაც ვხვდებით, თითქოს სიტყვები სულიერის კონოტაციას იძენენ. ისინი არიან მოგზაურები, რომელთა მოგზაურობასაც განუსაზღვრელი ხანგრძლივობა აქვს.

„სამყაროს სიღრმეებიდან მოდიან და გპოულობენ“ (Αξιώτη, 2015: 15).

„მოგ ზაურობენ [...] და ზოგჯერ დიდი ხნით მიდიან“ (Αξιώτη, 2015: 16).

დევენილობასთან ერთად, კადმოს ტვირთი სისუსტე, ავადმყოფობა და მეხსიერების დაკარგვაც ხდება, ის არა მხოლოდ უცხო სიტყვებსა და გარემოს ებრძვის, არამედ სიბერესაც, რომელიც მშობლიური ენისა და სიტყვების დავიწყებას ხელს უწყობს.

„როდესაც სიტყვები გავიწყდება, ეს სიბერეა“ (Αξιώτη, 2015: 55).

მიუხედავად მრავალი ტანჯვისა, მწერალმა შეძლო შეენარჩუნებინა მშობლიური ენა, რომელიც დევენილობისას იდენტობის შენარჩუნების იარაღიც იყო, სწორედ ასე, შენარჩუნებული ენით, თუმცა კი სიტყვათა მცირე დანაკარგით, აქსიოტი 1965 წელს ბრუნდება საბერძნეთში, უბრუნდება საკუთარ ადგილს, სახლს და კვლავ ბერძნულ ენაზე 1972 წელს აქვეყნებს თავის უკანასკნელ ტექსტს, თავის ავტოფიქციურ აღსარებას.

მიუხედავად მრავალი კვლევისა, რომლებშიც გაჟღერებულია ისეთი ცნებები როგორცაა „ადგილის იდენტობა“ (Place Identity) და ადგილთან მიჯაჭვულობა (Place Attachment) ჩვენთვის ხელმისაწვდომ კვლევებში ნაკლებად არის ასახული ის პროცესები, რომლებიც უშუალოდ იდენტობასა და ადგილის კავშირზე მიუთითებენ. რატომ ან როგორ იძენენ ადგილები გამორჩეულ თვითკონცეფციას ინდივიდისთვის? არსებობს თეორიები სოციალური იდენტობის შესახებ, თუმცა ნაკლებად არსებობს თეორიები იდენტობაში ადგილის როლის შესახებ. ბრეიკვეილმა ჩამოაყალიბა იდენტობის პროცესის მოდელი და ემპირიულად შეისწავლა ურთიერთობა ადგილსა და იდენტობას შორის. საინტერესოა, რამდენად ფუნქციონირებს ემოციური მიჯაჭვულობა საცხოვრებელ გარემოსთან იდენტობის ჩამოყალიბების ანდაც შენარჩუნების პროცესში.

იდენტობის პირველი პრინციპი არის პირადი განსხვავებულობისა და უნიკალურობის შენარჩუნების სურვილი, არსებობს რამდენადმე დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ ადამიანები იყენებენ ადგილის იდენტიფიკაციებს, რათა სხვებისგან გამოირჩეოდნენ. ამ თვალსაზრისით ადგილი ფუნქციონირებს სოციალური კატეგორიის ანალოგიურად და, შესაბამისად, ადგილის იდენტიფიკაცია შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ იდენტიფიკაციასთან შედარებად (Twigger-Ross & Uzzell, 1996: 207).

როგორც ირკვევა, ადგილები მოქმედებენ როგორც წარსულ მე-ზე, ასევე ახლანდელ მე-ზე, რაც უზრუნველყოფს იდენტობის უწყვეტობის განცდას. თავად ადგილს ან კონკრეტულ ადგილზე არსებულ ობიექტებს შეუძლიათ შეახსენონ ადამიანს წარსული და შესთავაზონ კონკრეტული ფონი, რომელიც წარმოადგენინებს საკუთარ თავს წარსულიდან, რის საფუძველზეც შეძლებს საკუთარი თავის შეფასებას დროსა და სივრცეში (Twigger-Ross & Uzzell, 1996: 207).

ჰორმუტი ადგილის იდენტობასთან დაკავშირებით განიხილავს გადაადგილების როლს და თვითკონცეფციის ცვლილებას და ვარაუდობს, რომ გადაადგილება შეიძლება წარმოადგენდეს თვითკონცეფციის ცვლილებას, ძველი ადგილი გახდება ძველი მე-ს სიმბოლო, ხოლო ახალი ადგილი წარმოადგენს შესაძლებლობას ახალი იდენტობის განვითარებისთვის. შესაბამისად, ადგილი განიხილება პიროვნების იდენტობის კონსტრუქციის აქტიურ ნაწილად (Twigger-Ross & Uzzell, 1996: 207).

მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც გადაადგილება იძულებითია? ეს იწვევს უწყვეტობის პრინციპის დაკარგვასა და მწუხარებას, მწუხარებას, რომელიც შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივიც იყოს. შესაბამისად, ადგილი განუყოფლადაა დაკავშირებული საკუთარი თავის განვითარებასთან და იდენტობის შენარჩუნებასთან.

„კადმოში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად სწორედ წარსულის აღქმა, ისტორიის გააზრება, სახლისა და იმ ადგილების მეხსიერებაში აღდგენა გვევლინება, სადაც ავტორს/პროტაგონისტს უცხოვრია და მისი იდენტობა ჩამოყალიბებულია. იდენტობა არ

შეიძლება ჰერმეტიულად აღვიქვათ, ის ხშირად იშლება ფრაგმენტად, ნაწილდება სიბრტყეებად, რომელიც ადამიანის მთელ ცხოვრებას მოიცავს.

ადგილის იდენტობის საკითხი განსაკუთრებით კარგად ჩანს „კადმოს“ მეთორმეტე თავში სახელწოდებით „უცხოობაში“, სადაც მთხრობელი იხსენებს თავის ცხოვრებას სამხრეთ იტალიაში, როდესაც მას ნება დართეს დაეტოვებინა აღმოსავლეთის ბლოკის საზღვრები. იტალია და იქ არსებული ადგილები საბერძნეთის ადგილებს ახსენებდა, მათ შორის ხედავდა მსგავსებას, რადგან იტალიის ქალაქები სამშობლოს აგონებდა, სამშობლოში აგრძნობინებდა თავს, ანუ გეგმებდა.

კადმოს სამშობლოში დაბრუნების პროცესი, შეიძლება ოდისევსის სახლისკენ მიმავალი გზის პოვნის პროცესში ჰადესში ჩასვლას შევადაროთ, სადაც ოდისევსი მიცვალებულთა სულებს და მათ შორის, გარდაცვლილი დედის აჩრდილს ხვდება. მეღპო აქსიოტისთვისაც მიკონოსი ხომ ერთგვარი ითაკაა.

*„დედა გყავთ? ხშირად გვეკითხებოდა ერთი ჟურნალისტი. „არა, ახლა აღარ გყავს დედა“*

*„აჰ, მაშინ არავის ემახსოვრებით!“ და მაინც ყველაფერი განუსაზღვრელი დროით დარჩა გონებაში: ეს უნდა განვიხილო, უნდა აღვნიშნო, როდესაც დავბრუნდები“ (Aξιώτη, 2015: 55).*

აქსიოტის შემოქმედებაში კონკრეტულ ადგილებთან ერთად, განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს სახლს, მათ შორის „კადმოშიც“.

„კადმოში“ სახლის სიმბოლიკა არ გაიაზრება მხოლოდ ფიზიკურ თავშესაფრად, რომელსაც დევნილი ადამიანი ეძებს, სახლი ხშირად აქსიოტისთვის მშობლიურ ენასთან და წერის პროცესთან დაბრუნების მეტაფორაა.

გასტონ ბაჩელარდი თავის ნაშრომში „სივრცის პოეტიკის შესახებ“ ამბობს, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი სიზმრისეული სახელი, სიზმრების მესხიერების სახლი, ამ სიზმრისეულ სახლს იმ სახლის სამვალე უწოდა, რომელშიც ვიბადებით. სახლი გამოსახულებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც კაცობრიობას სტაბილურობის შეგრძნების შესაძლებლობას აძლევს (Bachelard, 1964: 5).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „კადმოში“ სახლის სიმბოლო მიტოვებასა და მიტოვებულობის განცდას კარგად გადმოსცემს, სახლი ერთ შემთხვევაში, რეალური, ფიზიკური თავშესაფარია მთავარი გმირისა და მწერლისათვის, მეორე შემთხვევაში კი, სახლი ის ბუნებრივი, ენობრივი გარემოა, სადაც ავტორი იზრდებოდა, შესაბამისად, ბერძნული ენა მწერლისთვის ხშირად სახლთანაა გაიგივებული. ყველა სახლს ხომ თავისი სული აქვს, სახლი არ არის ინერტული ყუთი, რომელშიც უბრალოდ ვცხოვრობთ, სახლი ჩვენს იდენტობას ასახავს, ხშირად სახლები ნამდვილად ადამიანები არიან, ხშირად სახლები ნამდვილად სიზმრისეულ და აბსტრაქციულ არსებებად გვევლინებიან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ჩვენი იდენტობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, განსაკუთრებით ბავშვობის სახლები, რადგან ბავშვობა უსათუოდ აღემატება რეალობას.

**დასკვნები.** საანალიზოდ აღებული ტექსტის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, ეს ტენდენცია ერთი მხრივ შეიძლება 1970-იანი წლების ბერძნულ ლიტერატურაში ავტოფიქციის გაჩენას დავუკავშიროთ და მეორე მხრივ, სრულიად შესაძლებელია, რომ მეღპო აქსიოტი დავასახელოთ ერთ-ერთ პირველ ბერძენ ავტორად, რომელმაც ავტოფიქციური ტექსტი შექმნა „კადმოს“ სახით და ავტოფიქციურ ნარატივში მწერლისა და პროტაგონისტის საზიარო იდენტობა ჩამოაყალიბა.

„კადმოში“ ავტობიოგრაფიული ეგო დაშლილია, რასაც გამოგონილი პერსონაჟის არსებობა ადასტურებს, ტექსტში ორმაგი იდენტობის საკითხი ჩნდება, ორმაგი იდენტობა,

რომელიც ერთ შემთხვევაში უშუალოდ მწერალს ეკუთვნის, მეორე შემთხვევაში კი პროტაგონისტს.

აქსიოტის ტექსტში პროგნოზირებული იყო რეპატრირებული და გადასახლებული მწერლის ვინაობა, მეღპო აქსიოტი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევენებოდა, რაც ბადებს კითხვას, შეიძლება თუ არა პოლიტიკური მიზეზები და შევიწროება მთავარი მაპროვოცირებელი ძალა ყოფილიყო აქსიოტისთვის, რათა ავტოფიქციური ტექსტი შეექმნა.

სრულიად შესაძლებელია, რომ საბერძნეთში ავტოფიქციის გაჩენა მანამ, სანამ ეს ტერმინი ფრანკოფონულ ლიტერატურაში დაინერგებოდა, აღვიქვათ როგორც ავტობიოგრაფიიდან ავტოფიქციისკენ გადასვლა, ვინიდან დიქტატურული რეჟიმის გამო ემიგრირებული მწერალი ეძებდა ერთგვარ ნარატიულ ფორმას, რომლის მეშვეობითაც საკუთარი იდენტობის თავისუფლად გადმოცემას შეძლებდა.

„კადმო“ არ არის ერთმნიშვნელოვნად ავტობიოგრაფიული ტექსტი, აქსიოტი თავისთავად არღვევს „ავტობიოგრაფიულ პაქტს“ და გვთავაზობს ავტობიოგრაფიის პოსტმოდერნისტულ ხედვას, ანუ ავტოფიქციურ ნარატივს.

იდენტობის საკითხთან დაკავშირებით კი გარკვეული მიმართებები აისახა მეხსიერებას, ენასა და იდენტობას შორის, ამასთან ერთად, გამოიკვეთა ურთიერთკავშირი ადგილის იდენტობასა და სახლის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელ სივრცეს შორის.

**მეხსიერება და იდენტობა** - აღნიშნული ტექსტის ანალიზისა და კვლევის საფუძველზე გამოიხატა უშუალო კავშირი მეხსიერებასა და იდენტობას შორის, მეხსიერების ფიქსაცია მეღპო აქსიოტისთვის ერთი-ერთი მთავარი ბერკეტი საკუთარი დაკარგული, დანაწევრებული და გახლეჩილი იდენტობის აღსადგენად.

**ენა და იდენტობა** - ენასა და იდენტობას შორის ურთიერთმიმართება და ურთიერთკავშირი სიახლე არ არის, თუმცა საინტერესოა, როგორ მოქმედებს ენა იდენტობის შენარჩუნებაში დევნილი და ემიგრირებული ინდივიდის შემთხვევაში. „კადმოს“ მიხედვით, ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული იდენტობასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მწერლის პირად თუ შემოქმედებით იდენტობაზე ვსაუბრობთ, შესაბამისად, მეღპო აქსიოტის ცხოვრების ობიექტური სინამდვილისა და ცხადი ბიოგრაფიული ფაქტების ფონზე, „კადმოში“ ენის დაკარგვა შეიძლება იდენტობის დაკარგვად მივიჩნიოთ.

**ადგილისა და სახლის ურთიერთმიმართება იდენტობასთან** - ვინაიდან, მეღპო აქსიოტის, როგორც ემიგრირებული მწერლის თვითმიზანი სამშობლოს მონატრებით გამოწვეული ტკივილის გამოხატვა და დაძლევა იყო, „კადმოში“ ადგილსა და სახლს განსაკუთრებული რეალური თუ მეტაფორული დანიშნულება აქვს, ადგილთან მიკუთვნებულობა მეტწილად განსაზღვრავს თვითიდენტიფიკაციის პროცესს, ადგილი, სადაც ვიბადებით ჩვენი იდენტობის პირველ საფუძვლად გვევლინება, სწორედ კონკრეტული ადგილიდან იწყება ადამიანის იდენტობის შენება, ხოლო რაც შეეხება სახლს, „კადმოში“ სახლი ერთი მხრივ, რეალური, ფიზიკური გარემოა, სადაც მწერალი/პროტაგონისტი ცხოვრობდა, ხოლო მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს საკუთარ თავთან, საკუთარ ენასთან, საკუთარ წარსულთან დაბრუნების სიმბოლურ სახეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

*ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი*. (2017). სოფიო შამანიდის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.

ბარძიმაშვილი, ნ. (2017). ავტოფიქციური ნარატივი, როგორც წარსულის თავიდან დაწერის საშუალება. ირაკლი ჩარკვიანის ავტორმანი ავტოფიქციური პროზის კონტექსტში. *სპეკალი*. #11.



- კირვალიძე, ა. (2014). *ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ პარადიგმათა ლიმიტაციები მეხსიერების კვლევაში ინტეგრაციული მეთოდოლოგიური ალტერნატივა*. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.
- Bachelard, G. (1964). *The poetics of space*. Originally published: New York: Orion Press.
- Dix, H. (2018). *Autofiction in English*. Publisher: Palgrave Macmillan.
- Ioannidou, S. (2015). *Exile and the impossible nostos: Greek "autofiction" and politics in the 1970s*.
- Stroinska, M. (2003). *Exile, Language and identity*. offprint;
- Twigger-Ross, L., & Uzell, L. D. (1996). Place and identity processes clarel. *Journal of Environmental Psychology*. 16(3). 205-220, DOI:10.1006/jevp.1996.0017.
- Tziouvas, D. (2003) “ The Other Self, Selfhood and Society in Modern Greek Fiction“, Publisher: Lexington Books;
- Αξιώτη, Μ. (2015). *Η Κάδμω*. Εκδόσεις Κέδρος.

## REFERENCES

- akhalberdznul-kartuli leksik'oni [Modern Greek-Georgian dictionary]*. (2017). Edited by Sophio Shamanidi. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- bardzimashvili, n. (2017). avt'opiktsiuri narat'ivi, rogoris ts'arsulis tavidan dats'eris sashualeba. irak'li chark'vianis avt'oromani avt'opiktsiuri p'rozis k'ont'ekst'shi [Autofictional Narrative to rewrite the past Irakli Charkviani's Autonovel in Relation to Autofictional Prose]. *sp'ek'ali [Spekali]*. #11.
- k'irvalidze, a. (2014). *individualist'ur da k'olekt'ivist'ur p'aradigmata limit'atsiebi mekhsierebis k'vlevashi int'egratsiuli metodologiuri alt'ernat'iva [Limitations of individualistic and collectivist paradigms in memory research, an integrative methodological alternative]*. PhD thesis. Tbilisi.
- Bachelard, G. (1964). *The poetics of space*. Originally published: New York: Orion Press.
- Dix, H. (2018). *Autofiction in English*. Publisher: Palgrave Macmillan.
- Ioannidou, S. (2015). *Exile and the impossible nostos: Greek "autofiction" and politics in the 1970s*.
- Stroinska, M. (2003). *Exile, Language and identity*. offprint;
- Twigger-Ross, L., & Uzell, L. D. (1996). Place and identity processes clarel. *Journal of Environmental Psychology*. 16(3). 205-220, DOI:10.1006/jevp.1996.0017.
- Tziouvas, D. (2003). *The Other Self, Selfhood and Society in Modern Greek Fiction*. Publisher: Lexington Books.
- Αξιώτη, Μ. (2015). *Η Κάδμω [Kadmo]*, Εκδόσεις Κέδρος.